ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია

შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის ანგარიში

ანგარიში მოიცავს და აღწერს 2022 წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებულ ძირითად აუდიტორულ მიგნებებს, რეკომენდაციებს და გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის შედეგებს.

შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის (2022 წლის 27 იანვრის ბრძანებაN ბ92.92220279) მიხედვით დამტკიცდა შიდა აუდიტორული შემოწმებისთვის შემდეგი ობიექტები:

№	შიდა აუდიტის ობიექტი	შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო	შიდა აუდიტის სახე	შემოწმების პერიოდი	აუდიტორთა რაოდენობა
1	ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი	2021 წლის ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და შესყიდვების პროცესის შესაბამისობის შემოწმება.	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	1-2 კვარტალი	3
2	ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	2021 წლის ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და შესყიდვების პროცესის შესაბამისობის შემოწმება.	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	3-4 კვარტალი	2

ხოლო, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელებისთვის შემდეგი ობიექტები:

№	შიდა აუდიტის ობიექტი	გაცემული რეკომენდაცია	რეკომენდაციის შესრულების პერიოდი	მონიტორინგის პერიოდი	აუდიტორთა რაოდენობა
1	ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური.	სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ შესასწავლი პროცედურები: სამსახურის ფუნქციების 3-მუხლის ბ.ე.ზ.ი.ლ და ო პუნქტები.	2021 წლის 3-4 კვარტალი.	1კვარტალი	1
2	ა.(ა).ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური.	-ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების დადგენა(ინვენტარიზაცია); -მედიკამენტების აღწერა და საწყობიდან გასვლის ოპერაციის სრულყოფილად ასახვა; -სახელმწიფო სახსრებიდან მირებული თანხების განაწილება მერის თანხმობით;	2021 წლის 4 კვარტალი. 2022წლის 1კვარტალი.	2 კვარტალი	1
3	ა.(ა).ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის,სპორტისა და ახალგაზდობის საქმეთა განვითარების ცენტრი.	-ამორტიზირებული აქტივების ჩამოწერა (ინვენტარიზაცია); -ბაზრის კვლევის განხორციელება;	2022წლის 1-2 კვარტალი.	3 კვარტალი	1
4	ა.(ა).ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.	სახელმწიფო შესყიდვების პროცესების სისტემური ხარვეზები; -ბაზრის კვლევის განხორციელება;	2022წლის 1-2 კვარტალი.	4 კვარტალი.	1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა, 2022 წლის გეგმის თანახმად, ჩაატარა ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრის“ და ა.(ა)ი.პ. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

ა(ა)ი.პ „ლაგოდეხის სერვის ცენტრში“ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები:

შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა აუდიტის ობიექტის 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებულ საქმიანობას - სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აუდიტის საგნის შესასწავლად, გამოყენებული იქნა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და მონაცემთა ანალიზი, დოკუმენტური შემოწმების და ადგილზე დათვალიერების მეთოდები.

სერვის ცენტრის სამუშაო პროცესის დეტალური შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ნაკლოვანებები:

1.*საწყობიდან საქონლის მოძრაობის მონაცემების და ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებს შორის სხვაობის საკითხი.*

საწყობიდან გაწერილი და მიღებული საქონლის ჩანაწერები (აღრიცხვის დავთარი) არ ედრებოდა ბუღალტრულ დოკუმენტაციის მონაცემებს, რაც გამოწვეული იყო შესაბამისი დოკუმენტაციის (ზედნადებები, საქონლის გასავლის საბუთები) ბუღალტერიისთვის დაგვიანებით წარდგენით.

2.საწვავის ჩამოწერის აქტების სრულყოფის საკითხი.

საწვავის ჩამოწერის აქტში ნაჩვენები იყო ზოგადად რა სამუშაო შესრულდა და რამდენი ლიტრი საწვავი დაიხარჯა. არ იყო აღწერილი შესრულებული სამუშაოების მოცულობა, სატვირთო მანქანით გადაზიდული ტვირთის კუბატურა და ტრანსპორტირების მანძილი.

3.ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის სააღრიცხვო ბარათის წარმოების საკითხი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე/ტექნიკაზე არ იყო გახსნილი საექსპლოატაციო სააღრიცხვო ბარათი, სადაც ავტომანქანის ტექნიკური მონაცემების მიხედვით ყოველთვიურად შეტანილი უნდა ყოფილიყო ნამუშევარი საათები, გავლილი მანძილი, საბურავების და სათადარიგო ნაწილების შეცვლა, ტექნიკის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის მონაცემები.

4.*სახელმწიფო შესყიდვების მართვის საკითხი.*

ა) შეუსაბამობა იყო სატენდერო დოკუმენტაციასა და სატენდერო განაცხადს შორის. „სერვის ცენტრის" მიერ გამოცხადებული/ჩატარებული იყო ელექტრონული ტენდერი, სადაც სატენდერო განაცხადსა და სატენდერო დოკუმენტაციას შორის, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების ნაწილში იყო შეუსაბამობა.

ბ)პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იყო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც შეუსაბამოა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნასთან. „სერვის ცენტრის" მიერ ჩატარებული იყო ელექტრონული ტენდერი, სადაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება არ მომხდარა ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესების დაცვით. უმრავლეს შემთხვევაში სერვის ცენტრის მიერ არ ხდებოდა ანგარიშგების წესის დაცვა, რაც გულისხმობს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტების, ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის, ასევე, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში ატვირთვას, რაც უნდა განხორციელდეს, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, ასევე არაუგვიანეს 10 დღის ვადაში უნდა მოხდეს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა და შემდგომ აისახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ

და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

აუდიტის ჯგუფის მიერ, გაიცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემდგომ სერვის ცენტრის საქმიანობა იქნება უფრო გამჭირვალე, კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების შესაბამისი:

რეკომენდაცია №1:

- შესყიდული საქონლის შესაბამისი დოკუმენტაცია დროულად იქნას გადაცემული ბუღალტერიის განყოფილებაში შესაბამისი გატარებების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილად აისახოს საქონლის მოძრაობა და ზუსტად დაფიქსირდეს სასაქონლო ნაშთები.

რეკომენდაცია №2:

- საწვავის ჩამოწერის აქტის სრულყოფის მიზნით, აქტში შეტანილი იქნას დამატებითი ინფორმაცია: მოცულობა, კუბატურა, ტრანსპორტირების მანძილი, მუშა/საათები და სხვა შესაბამისი მაჩვენებელი, რაც ხელს შეუწყობს გახარჯული საწვავის და შესრულებული სამუშაოების სრულყოფილად ასახვას.

რეკომენდაცია №3:

- ავტოსატრანსპორტო ტექნიკაზე შეიქმნას საექსპლოატაციო სააღრიცხვო ბარათები. ბარათში აღიარებული მონაცემების განხილვის საფუძველზე, დაიგეგმოს ავტოსატრანსპორტო ტექნიკის შემდგომი პერიოდისთვის გამოყენება, გასაწევი ხარჯების მოცულობა და ეფექტიანობა.

რეკომენდაცია №4:

- შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ გამჭვირვალე, ერთგვაროვანი მიდგომისა და ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით „სერვის ცენტრმა“ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო კომისიების მიერ ყველა შესაფერისი დოკუმენტის სრულყოფილად შედგენას, შესწავლას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ არ მოხდეს შესყიდვების მოქმედი რეგულაციების დარღვევა.

ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები:

შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა აუდიტის ობიექტის 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებულ საქმიანობას - სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აუდიტის საგნის შესასწავლად, გამოყენებული იქნა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და მონაცემთა ანალიზი, დოკუმენტური შემოწმების და ადგილზე დათვალიერების მეთოდები.

ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ში სამუშაო პროცესის დეტალური შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ნაკლოვანებები:

1.საქმის წარმოების საკითხი.

ააიპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელობა გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ბრძანების დოკუმენტაცია იბეჭდება და ხელის მოწერის შემდეგ ინახება საქმის მწარმოებელთან. შიდა კონტროლის ცნებიდან გამომდინარე-დოკუმენტაცია დამატებით არ რეგისტრირდება რეგისტრაციის წიგნში.

2.საწვავის ჩამოწერის საკითხი.

საწვავის ჩამოწერაზე დგება ყოველთვიური აქტი, სადაც ზოგადად აღნიშნულია რაზეა გახარჯული საწვავი. კერძოდ- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. 2021 წლის განმავლობაში, ჯამში გახარჯულია 1020 ლიტრი საწვავი.

3.საქართველოს მთავრობის დადგენილება №485-ს მიხედვით მოთხოვნების შესრულების საკითხი.

ააიპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელობამ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 27.10.2017წ. დადგენილება №485 „ტექნიკური რეგლამენტის-ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

შემოწმების პერიოდში გამოვლინდა, რომ გაერთიანებაში შემავალი 31 ბაღიდან 12 ბაღი (მაწიმის ბაღი, შრომის ბაღი, ნინიგორის ბაღი,გურგენიანის ბაღი, ჩადუნიანის ბაღი, ვარდისუბნის ბაღი, საქობოს ბაღი, მსხალგორის ბაღი, ფონის ბაღი, ბაღდადის ბაღი, გვიმრიანის ბაღი, არეშფერნის ბაღი) არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილება №485-ის მე-3, მე-4, მე-5 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ორ ბაღში მიმდინარეობს მშენებლობა (ჭიაურის ბაღი, ჭაბუკიანის ბაღი).

4.ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ჩამოსაწერი ქონების საკითხი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად „გაერთიანების" მიერ ყოველწლიურად ტარდება ინვენტარიზაცია, რაც ადმინისტრაციის მიერ არის განხორციელებული.

30.11.2021 წლის საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი №2-ის მიხედვით 01.12.2021 წლის მდგომარეობით ქონების ნაშთი შეადგენს-735048.57 ლარს. აქედან, 1. ძირითადი აქტივები-188930.96 ლარი; 2. მცირეფასიანი აქტივები-546117.61 ლარი. 2021 წლის ინვენტარიზაციის მიხედვით ჩამოწერილია 26348.30 ლარის მცირეფასიანი ინვენტარი.

ააიპ „ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ბალანსზე რიცხული იმ ქონების ჩამოწერის საკითხს, რომლის საწყისი ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, ერთპიროვნულად წყვეტს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და პასუხს აგებს ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის სისწორეზე.

ჩამოწერის შედეგად მიღებული მასალები (ჯართი, ვარგისი ნაწილები და სხვა) რომელიც ექვემდებარება შემოსავალში აღებას და შემდგომ გამოყენებას, უნდა აისახოს დაწესებულების ბალანსზე მარაგების სახით.

ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის დადგენილება №669-ს შესაბამისად.

5.სახელმწიფო შესყიდვების მართვის საკითხი.

„გაერთიანებამ" 2021 წლის განმავლობაში, საქონლის/სამუშაოს/მომსახურების შესყიდვის მიზნით, ჯამში გააფორმა 90 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. აქედან, 3 შემთხვევაში შესყიდვის საშუალება იყო „კონსოლიდირებული ტენდერი" (CON), 37 შემთხვევაში „ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე" (NAT), ხოლო 50 შემთხვევაში „გამარტივებული შესყიდვა" (CMR).

გამარტივებული შესყიდვები

"გამარტივებული შესყიდვის" ფარგლებში, „გაერთიანების" მიერ, შესამოწმებელ პერიოდში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების უმრავლესობაში (90%), არ არის მითითებული ინფორმაცია გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლის შესახებ-კანონის შესაბამისი ნორმა. ასევე, ხელშეკრულებების ნაწილში (30%), არ არის მითითებული ინფორმაცია, შესყიდვის ობიექტის შესაბამისი CPV კოდის შესახებ, რითაც სრულყოფილად არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და ჩატარების წესი".

ელექტრონული ტენდერი

ა) საქონლის ხორცის და ქათმის ხორცის შესყიდვის მიზნით, „გაერთიანებამ" გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 მუხლით განისაზღვრა: ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე პრეტენდენტს გავლილი უნდა ჰქონოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი და უნდა წარმოედგინა დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტენდერში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა, მხოლოდ ფასების ცხრილი და საქონლის ტექნიკური მახასიათებლების დანართი, ხოლო დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ პრეტენდენტს, ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე გავლილი ჰქონდა სურსათის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი, წარმოდგენილი არ არის.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სატენდერო კომისიას ზემოაღნიშნული შეუსაბამობების შესახებ არ უმსჯელია და პრეტენდენტი მიიწვია ხელშეკრულების გასაფორმებლად. მოქმედი რეგულაციით, სატენდერო კომისია ვალდებული იყო ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით მიემართა პრეტენდენტისთვის.

„გაერთიანების" მიერ ჩატარებული იქნა ელექტრონული ტენდერი, სადაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება არ მომხდარა ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესების სრული დაცვით.

ბ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი 22 საბავშვო ბაღში დამიწების კონტურის მოწყობის და სამფაზა მრიცხველიდან დენის მიყვანის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, „გაერთიანებამ" გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) და ტექნიკური დოკუმენტაცია: გამოცდილება ანალოგიური სამუშაოების ჩატარების შესახებ და სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

სატენდერო კომისიამ, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა, რის შემდეგაც აღნიშნა, რომ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და გამოავლინა გამარჯვებულად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკი

(ტექნიკური დოკუმენტი) არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოვლენა არ უნდა მომხდარიყო.

მოქმედი რეგულაციით (გამარჯვებულად ითვლება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება სატენდერო პირობებს), სატენდერო კომისია ვალდებული იყო მიემართა პრეტენდენტისთვის, დაეზუსტებინა ფასების ცხრილი და გეგმა-გრაფიკი (ტექნიკური დოკუმენტი), ხოლო ამის შემდგომ მოეხდინა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება[1].

„გაერთიანების" მიერ ჩატარებული იქნა ელექტრონული ტენდერი, სადაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება არ მომხდარა ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესების სრული დაცვით.

გ) უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში „გაერთიანების" მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში, არ არის დაცული ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მიერ, არ ხდება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილით დადასტურება.

დ) "გაერთიანებამ" სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებელთან მოახდინა წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსის ჩარიცხვა), თუმცა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არ ატვირთა ავანსის უზრუნველყოფის საგარანტიო ფურცელი. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება შემსყიდველმა ორგანიზაციამ სისტემაში უნდა ატვირთოს მისი დადებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულებასთან ერთად შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (არსებობის შემთხვევაში) და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია (არსებობის შემთხვევაში).

აუდიტის ჯგუფის მიერ, გაიცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემდგომ ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-საქმიანობას წარმართავს უფრო გამჭირვალედ, კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმებთან შესაბამისად:

რეკომენდაცია №1:

ააიპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის გამოცემის და რეგისტრაციის თარიღის დამატებით დადასტურებას (ბრძანების წიგნის წარმოება) მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, დღეის მდგომარეობით ორგანიზაცია გადასულია ელექტრონულ სისტემაზე.

რეკომენდაცია №2:

საწვავის ჩამოწერის ყოველთვიური აქტში კონკრეტულად აისახოს რომელ ღონისძიებებზე იქნა გახარჯული საწვავი.

<u>რეკომენდაცია №:3:</u>

შესწავლილი იქნეს და შემდგომ მომზადდეს წინადადებები დადგენილება №485-ის „ტექნიკური რეგლამენტის-ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, მოთხოვნების შესრულების გაუმჯობესების მიზნით და შემდგომ წარედგინოს მერიის ხელმძღვანელობას განსახილველად.

<u>რეკომენდაცია №4:</u>

ჩამოწერის დოკუმენტაციაში გამოიყოს მიღებული მასალები (ჯართი, ვარგისი ნაწილები და სხვა) და აღებული იქნას შემოსავალში, ხოლო ბალანსში აისახოს მარაგების სახით.

<u>რეკომენდაცია №5:</u>

შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ გამჭვირვალე, ერთგვაროვანი მიდგომისა და ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით „გაერთიანებამ“ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო კომისიების მიერ ყველა შესაფერისი დოკუმენტის სრულყოფილადშედგენას, შესწავლას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ არ მოხდეს შესყიდვების მოქმედი რეგულაციების დარღვევა.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგები:

№	შიდა აუდიტის ობიექტი	რეკომენდაციები	სტატუსი	დამადასტურებელი დოკუმენტი.
1	ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური.	დაინერგოს კონტროლის მექანიზმები და განხორციელდეს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების როგორც სტატისტიკურ ასევე ანალიტიკური ინფორმაციის დოკუმენტირებას. (როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად).	ნაწ.შესრ.	სამსახურის წერილი
		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ შესწავლილი იქნეს ამ მუხლების განხორციელების საშუალებები და წესები.	შესრ.	სამსახურის წერილი
2	ა.(ა).ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური.	ამორტიზირებული, მაგრამ სარგებლობაში არსებული ძირითადი საშუალებებზე უნდა დადგინდეს აღდგენითი ღირებულება. ოქმი №1-თ აღიარებული ინვენტარიზაციის მონაცემები შესწორდეს შესაბამისი აქტის მეშვეობით.	შესრ.	სამსახურის წერილი
		- მედიკამენტების გაწერა საწყობიდან მოხდეს დოკუმენტაციის სრული პაკეტის შევსებით. (გასავლის ზედწადებები,სააღრიცხვო ჟურნალები,მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე, დაისვას საკითხი შემდგომში საწყობიდან მედიკამენტების ელექტრონული ფორმით გაწერის შესახებ). - ჩატარდეს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მედიკამენტების ფაქტობრივი რაოდენობის ინვენტარიზაცია (გამოყენების ვადების პერიოდის მითითებით), შესაბამისი აქტების დადასტურებით.	შესრ.	სამსახურის წერილი

		სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული სახსრების (თანხების) განაწილების საკითხი უნდა შეთანხმდეს მერიის ხელმძღვანელობასთან და ა.(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური"-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობამ, რაც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურეობიდან მიღებული სახსრების შესაბამის მიზნობრივ განაწილებას. *ასევე, დადგინდეს შეთანხმების საფუძველზე (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობასთან) მომსახურებიდან მიღებული სახსრებიდან გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობის*	შესრ.	სამსახურის წერილი
3	ა.(ა).ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის,სპორტისა და ახალგაზდობის საქმეთა განვითარების ცენტრი.	ამორტიზირებული ქონების ჩამოწერისთვის შეიქმნას კომისია ა.(ა)ი.პ. ხელმძღვანელის შესაბამისი აქტის საფუძველზე.	ნაწ.შესრ.	სამსახურის წერილი
		ყველა მატერიალური ფასეულობები რომლებიც გაიცემა გარკვეულ ღონისძიების განსახორციელებლად გაწერილი უნდა იყოს ღონისძიების ორგანიზატორის პასუხისმგებლობით,რაც გამორიცხავს ნივთის ან საგნის დაკარგვას და ხელს შეუწყობს მატერიალური ფასეულობების დროულად დაბრუნებას.	შესრ.	სამსახურის წერილი
		„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევა – ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევის პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეექმნას მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების.	შესრ.	სამსახურის წერილი
		ბაზრის კვლევის შედეგიანად განხორციელებისთვის, შემსყიდველ ორგანიზაციებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან ეძლევათ რეკომენდაცია, შეადგინონ შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს: -ბაზრის კვლევის განხორციელების თარიღებს; -მითითებას უფლებამოსილი პირის შესახებ და მის ხელმოწერას; -ბაზრის კვლევის შედეგების აღწერას	შესრ.	სამსახურის წერილი
4	ა.(ა).ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.	თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილია საქონლის ეტაპობრივად მიღება მან ხელშეკრულების პირობებში უნდა განსაზღვროს საქონლის მოწოდების პირობები და ვადები იმ მაქსიმალური პერიოდის გათვალისწინებით როდესაც გეგმავს საქონლის შესყიდვას.	შესრ.	სამსახურის წერილი

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის

დროებით მოვალეობის შემსრულებელი: /ა. ლობჟანიძე/